

რეგულირებული დომენური სახელების რეგისტრაციის სპეციალური პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია .GE დომენის ადმინისტრაციისა და რეგისტრაციის წესების („დომენის რეგულაცია“) 3.2.5. პუნქტის შესაბამისად განსაზღვროს რეგულირებული დომენური სახელების რეგისტრაციის სპეციალური პირობები.

1. რეგულირებული დომენური სახელების სია

- 1.1 ქვეყნების სახელები რეგულირებულია შესაბამისი ქვეყნის საკონსულოსა ან საელჩოსთვის. ქვეყნების სია გამოქვეყნებულია ადმინისტრატორის ვებ-გვერდზე, როგორც „ქვეყნების სახელწოდებები“.
- 1.2 შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ წარმომადგენელს (საელჩო, საკონსულო ან მსგავსი) შეუძლია მიმართოს რეგისტრატორს რეგულირებული დომენური სახელის დასარეგისტრირებლად.
- 1.3 საქართველოს ყველა ქალაქის და ადმინისტრაციული ერთეულის იდენტური და მსგავსი დასახელება რეგულირებულია რეგისტრაციისთვის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან უფლებამოსილი პირისთვის.
- 1.4 ყველა დომენური სახელი, რომელიც შედგება ციფრებისგან და მსგავსია ან იდენტურია სატელეფონო კოდისა რეგულირებულია ასეთი სატელეფონო კოდის მფლობელისათვის.

2. რეგულირებული დომენური სახელების რეგისტრაციის პირობები

- 2.1 რეგისტრანტს, რომელსაც სურს დაირეგისტრიროს რეგულირებული დომენური სახელი, უნდა წარადგინოს განაცხადი რეგისტრატორთან, რომელი განაცხადიც გარდა დომენის რეგულაციით განსაზღვრულისა უნდა შეიცავდეს შესაბამისი რეგულირებული დომენური სახელის რეგისტრაციის უფლების ქონის დამადასტურებელ დოკუმენტს.
- 2.2 რეგისტრანტი პასუხისმგებელია რეგისტრატორისთვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. რეგისტრანტი ვალდებულია აცნობოს რეგისტრატორს წარდგენილი ინფორმაციის ცვლილების შესახებ 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი ელექტრონული განაცხადის წარდგენის გზით.
- 2.3 რეგისტრატორი ამონმებს რეგულირებული დომენური სახელის დასარეგისტრირებლად წარდგენილ ინფორმაციას და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს სარეგისტრაციო მოთხოვნებს აგზავნის განაცხადს ადმინისტრატორთან.